სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება №21

ქ. ხონი 15 თებერვალი 2016 წელი

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა **ბახტაძის** სახით და მეორეს მხრივ შპს „ელე" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის მანანა ღვინცაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე :

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხონის საბავშო ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის საქონლის დარბილებული (დამუშავებული) ხორცის შესყიდვა.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯეროვანი მიწოდება, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

2.4 კლასიფიკატორის კოდი –CPV15100000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4691.61 (ოთხიათასექვსასოთმოცდათერთმეტი ლარი და 61 თეთრი) ლარს. 1 კგ ფასი 13,54 ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის სტანდარტი

4.1 საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.09 №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები"-ს მოთხოვნებს.

4.2 საკვები პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

4.3 მოსაწოდებელი პროდუქტების ვარგისიანობა მოწოდების მომენტისათვის.

5. მიწოდების წესი

5.1 მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მიწოდება უნდა განხორციელდეს ორ კვირაში ერთხელ სამუშაო დღეების სამუშაო საათებში 17 სოფლებში მდებარე საბავშო ბაღებში, ხოლო ქალაქის 3 საბავშო ბაღში მიწოდება უნდა განხორციელდეს კვირაში ერთხელ. მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების თარიღი განისაზღვრება შემსყიდველისაგან წინასწარ მიღებული შეკვეთის საფუძველზე. (შეკვეთა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

5.2. მიწოდება უნდა განხორციელდეს ააიპ ხონის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების 20 ფილიალში დანართი #3 - ში მითითებულ მისამართებზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. ,,მიმწოდებელი წარუდგენს `შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

6.2. ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ამტკიცებს გაერთიანების დირექტორი ხათუნა ბახტაძე.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 _ ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

. 8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ფორს _ მაჟორული გარემოებების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.1 % _ ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსი, საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო. მყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი. ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ამ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება ხონი, ჭანტურიას მე–3 შესახვევი 9 საიდენტიფიკაციო კოდი:244973187 ტელეფონი: 595 33 21 95 ელ.ფოსტა: centraluribagi@mail.ru სს "ლიბერთი ბანკის" ხონის ფილიალი კოდი:LBRTGE22 ა/ა GE60LBO125144339126000 ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი: ხათუნა ბახტაძე	შპს „ელე" თბილისი,ისანი-სამგორის რაიონი, ნიაბის 2 ს/კ55001010837 ტელეფონი 555 58 21 39, 570 50 79 94 ელ.ფოსტა:elbaqidze@rambler.ru კოდი:TBCBGE22 ა/აGE94TB7433636080100002 შპს „ელე"-ს დირექტორის მიერ მინდობილი პირი: მანანა ღვინცაძე

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____